



საერთაშორისო  
გამჭვირვალობა  
საქართველო



# ქუთაისის მე-6 მოწვევის საკრებულოს საქმიანობის შეფასება

# საჩივრი

თავი 1. ძირითადი მიგნებები	4
თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის საკრებულოს შესახებ	5
თავი 3. მნიშვნელოვანი მოვლენები	8
თავი 4. საკრებულოს კომისიების და ფრაქციების საქმიანობა	9
თავი 5. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონტროლი	12
თავი 6. არასრულად შევსებული დეკლარაციები და შეუთავსებელი საქმიანობა	13
თავი 7. საკრებულოს წევრთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში	15
თავი 8. მოქალაქეთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში	18
თავი 9. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა	19
თავი 10. ქალაქ ქუთაისის საკრებულოს ხარჯები	19
რეკომენდაციები	23

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ შეაფასა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის მონვევის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს (შემდეგში ქუთაისის საკრებულო) საქმიანობა.

ანგარიში ეფუძნება საკრებულოდან გამოთხოვილ ინფორმაციასა და ჩვენი ორგანიზაციის დაკვირვებებს და მოიცავს პერიოდს 2017 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ჩათვლით.

# თავი 1. ძირითადი მიზნები

## კონტროლის ფუნქციის განხორციელება

- ქუთაისის საკრებულო საანგარიშო პერიოდში აღმასრულებელ ორგანოზე და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურდიულ პირებზე სუსტ ზედამხედველობას ახორციელებდა, საკრებულოს მიერ მის წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირთა თუ ცალკეულ უწყებათა კონტროლი უმეტეს შემთხვევაში ფორმალური ხასიათის იყო;
- საანგარიშო პერიოდში ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არ მოუწვევია კერძო აუდიტი საკრებულოს საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტის ჩასატარებლად.

## სამართლებრივი აქტების მიღების პროცესი:

- ქუთაისის საკრებულომ გამართა 37 სხდომა, აქედან 10 რიგგარეშე იყო.
- საანგარიშო მონაკვეთში მხოლოდ ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ მოიწვია ორი სპეციალისტი 1 წლის ვადით.
- ქუთაისის საკრებულომ 134 დადგენილება მიიღო, რომელთაგან 110 დადგენილების ავტორი/ინიციატორი ქუთაისის მერია იყო, 23-ის - საკრებულო, 1-ისა კი - გენდერული თანასწორობის საბჭო;
- ქუთაისის საკრებულოში მოქმედი ხუთი ფრაქციიდან ინიციატივით საკრებულოს ხუთივე ფრაქციამ მიმართა. ფრაქციებს საანგარიშო პერიოდში 24 ინიციატივა ჰქონდათ;
- ქუთაისის საკრებულოში მოქმედმა გენდერული თანასწორობის საბჭომ განიხილა 2019 წლის ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი და შეიმუშავა რეკომენდაციები, ასევე შეიმუშავა საკანონმდებლო წინადადებები.

აღსანიშნავია, რომ წინა მოწვევის საკრებულოში საერთოდ არ იყო შექმნილი გენდერული თანასწორობის საბჭო, ამიტომ საბჭოს ჩამოყალიბება პოზიტიურ სიახლეს წარმოადგენს.

## ანგარიშვალდებულება:

- ქუთაისის საკრებულოს 16 თანამდებობის პირიდან ქონებრივი დეკლარაცია 3 თანამდებობის პირმა ხარვეზებით შეავსო;
- საკრებულოს წევრებმა ჯამურად საკრებულოს სხდომები 192-ჯერ გააცდინეს. გაცდენების რაოდენობით ლიდერობენ საკრებულოს წევრები “ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან” ვლადიმერ კლდიაშვილი (21 სხდომა) და გიორგი უკლება (20 სხდომა), ასევე “ევროპული საქართველოდან” დავით გოგისვანიძე (19 სხდომა).

აღსანიშნავია, რომ წინა მოწვევის საკრებულოშიც გაცდენების რაოდენობით ლიდერობდნენ გიორგი უკლება (50 სხდომა) და დავით გოგისვანიძე (43 სხდომა);

- ქუთაისის საკრებულოში სახელფასო ანაზღაურების სახით გაიცა **1,853,759** ლარი. სახელფასო დანამატის, პრემიისა და დახმარების სახით საკრებულოს აპარატის თანამშრომლებმა და შტატგარეშე მოსამსახურეებმა ჯამში **202,446** ლარი მიიღეს;
- ქუთაისის საკრებულომ **115,653** ლიტრი სანვავი გახარჯა.
- ქუთაისის საკრებულოს წევრებმა და აპარატის თანამშრომლებმა ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინებებზე ჯამში **48,906** ლარი გახარჯეს.

## თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის საკრებულოს შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც ახორციელებს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილ უფლებამოსილებებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში, აგრეთვე კანონით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს აღმასრულებელი ორგანოს - მერიის და მერიის თანამდებობის პირების საქმიანობას, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და საკრებულოს რეგლამენტით მისთვის განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

ქუთაისის საკრებულოში 25 წევრია, რომელთაგან **10** წევრი აირჩევა ადგილობრივ ერთმანდატიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში, ხოლო **15** წევრი - პროპორციული წესით.

მანდატების განაწილება		
მაჟორიტარული წესით არჩეული - 10 წევრი (ყველანი “ქართული ოცნებიდან”) პროპორციული წესით არჩეული - 15 წევრი		
ქართული ოცნება	ერთიანი ნაციონალური - მოძრაობა	ევროპული საქართველო
19	4	2

საკრებულოს წევრთა შორის მხოლოდ 4 ქალია, რაც საერთო რაოდენობის 16%-ია. საკრებულოს თანამდებობის პირებს შორის 2 ქალია: ფრაქცია “ქართული ოცნების” თავმჯდომარეა მარეხი ნიჟარაძე, ხოლო ამავე ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეა ელენორა არჩაია.

საკრებულოში მუშაობს 5 ფრაქცია:

ფრაქცია	წევრთა რაოდენობა
“ქართული ოცნება”	9
“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”	4
“ქართული ოცნება - კონსერვატორები”	3
“ქართული ოცნება - მრეწველები”	3
“ქართული ოცნება - მწვანეები”	3

ფრაქცია “ქართული ოცნება-კონსერვატორების” გარდა, ყველა ფრაქციის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე.

საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადანყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, საკრებულო თავისი შეხედულებებისამებრ ქმნის კომისიას. **ქუთაისის საკრებულოში საკრებულოს უფლებამოსილების ვადით შექმნილია შემდეგი კომისიები:**

1. იურიდიულ საკითხთა კომისია (თავმჯდომარე ვლასი გარდაფხაძე)
2. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია (თავმჯდომარე კახაბერ ბოჭორიშვილი)
3. ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობის კომისია (თავმჯდომარე გიორგი ჭეიშვილი)
4. კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია (თავმჯდომარე ოთარ ლორთქიფანიძე)
5. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია (თავმჯდომარე მამუკა რიჟამაძე)

საკრებულოს 25 წევრიდან თანამდებობას 16 წევრი იკავებს, კერძოდ:

სახელი/გვარი	თანამდებობა	არჩევის თარიღი
ნიკოლოზ ლატარია	საკრებულოს თავმჯდომარე  (თანამდებობა დატოვა)	20.11.2017- 10.12.2019
რამაზ ჩხიკვაძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	20.11.2017
ირაკლი შენგელია	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;  საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ.	20.11.2017  10.12.2019

კომისიის თავმჯდომარეები		
ვლასი გარდაფხაძე	კომისიის თავმჯდომარე	20.11.2017
კახაბერ ბოჭორიშვილი	კომისიის თავმჯდომარე	20.11.2017
გიორგი ჭეიშვილი	კომისიის თავმჯდომარე	20.11.2017
ოთარ ლორთქიფანიძე	კომისიის თავმჯდომარე	20.11.2017
მამუკა რიჟამაძე	კომისიის თავმჯდომარე	20.11.2017
ფრაქციის თავმჯდომარეები და მოადგილეები		
მარეხ ნიჟარაძე	„ქართული ოცნება“ - თავმჯდომარე	20.11.2017
გრიგოლ შუშანია	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“- თავმჯდომარე	20.11.2017



ნანა კოსტავა	„ქართული ოცნება - კონსერვატორები“ - თავმჯდომარე	07.12.2017
ჩანაცვლდა - ნიკოლოზ ჩეჩელაშვილით		26.06.2019
ლაშა გვენეტაძე	„ქართული ოცნება - მრეწველები“ - თავმჯდომარე	07.12.2017
იმედა სალინაძე	„ქართული ოცნება - მწვანეები“ - თავმჯდომარე	27.12.2017
ელეონორა არჩაია	„ქართული ოცნება“ - მოადგილე	18.01.2018
ვლადიმერ კლდიაშვილი	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მოადგილე	18.01.2018
ჩანაცვლდა რომან ქვაჩაკიძით		
ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი, პოზიციას იკავებდა 2019 წლის 26 ივნისამდე	„ქართული ოცნება - კონსერვატორები“ - მოადგილე	18.01.2018 - 26.06.2019
დათო ნუღეისკირი	„ქართული ოცნება - მრეწველები“ - მოადგილე	18.01.2018
ამირან კოპალეიშვილი	„ქართული ოცნება - მწვანეები“ - მოადგილე	18.01.2018

**ზოგადი სტატისტიკა:**

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს 37 სხდომა გაიმართა, აქედან 10 სხდომა რიგგარეშე იყო, მათ შორის 1 სხდომა მოიწვიეს საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით, 2 - საკრებულოს თავმჯდომარისა და მერის ერთობლივი ინიციატივით, ხოლო 7 - ქუთაისის მერის ინიციატივით.

საანგარიშო პერიოდში კვორუმის არარსებობის გამო საკრებულოს არც ერთი სხდომა არ ჩაშლილა.

<b>ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარებული სხდომები</b>	
სულ	რიგგარეშე
37	10

საკვლევ პერიოდში ბიუროს 38 სხდომა გაიმართა.

საანგარიშო პერიოდში ქუთაისის საკრებულომ 134 დადგენილება მიიღო, რომელთაგან 110 დადგენილების ავტორი/ინიციატორი იყო ქუთაისის მერი, 17 დადგენილების - საკრებულოს თავმჯდომარე, 1 დადგენილების - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, 1 დადგენილების - საკრებულოს აპარატი, 4 დადგენილების - იურიდიულ საკითხთა კომისია, ხოლო 1 დადგენილების - გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე.

ქუთაისის საკრებულოს მიერ ინიცირებულ იქნა 73 საკითხი.

ქუთაისის საკრებულომ 13-ჯერ იმსჯელა ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვადასახვა მომსახურების საფასურის შემოღების, მათში ცვლილების შეტანისა და გაუქმების შესახებ.

ქუთაისის საკრებულოს სამართლებრივ აქტებზე ზედამხედველობის ორგანომ 14 უარყოფითი დასკვნა მოამზადა. საკრებულომ 2 უარყოფით დასკვნაზე მოტივირებული წერილობითი უარი წარადგინა, საიდანაც ზედამხედველობის ორგანომ 1 დამაკმაყოფილებლად ცნო.

საანგარიშო პერიოდში ქუთაისის საკრებულოში პეტიცია არ დარეგისტრირებულა.

## თავი 3. მნიშვნელოვანი მოვლენები

### **საკრებულოს თავმჯდომარის გადადგომა:**

2019 წლის 10 დეკემბერს, ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე, ნიკოლოზ ლატარია პირადი განცხადებით გადადგა თანამდებობიდან. საკრებულოს ახალი თავმჯდომარე არ აურჩევია. თავმჯდომარის მოვალეობას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ირაკლი შენგელია ასრულებს.

### **ცვლილებები ქუთაისის საკრებულოს შემადგენლობაში:**

ქუთაისის საკრებულომ 2019 წლის 27 ივნისიდან, საკრებულოს რეგლამენტის საფუძველზე, უფლებამოსილება შეუწყვიტა საკრებულოს წევრს “ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან”, გიორგი უკლებას. საკრებულოს ინფორმაციით, გიორგი უკლება 6 თვის მანძილზე არ ესწრებოდა საკრებულოს, კომისიებისა და ფრაქციების სხდომებს, არ ერთვებოდა საკრებულოს საქმიანობაში და მოკვლევის მინდინარეობისას არ წარმოუდგენია საპატიო მიზეზის დამადასტურებელი მტკიცებულება.

საკრებულოში გიორგი უკლება რომან ქვაჩაკიძემ ჩაანაცვლა.

### **საკრებულოს წევრის არაეთიკური ქმედება:**

საკრებულოს წევრმა ნანა კოსტავამ (“ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო”) სოციალურ ქსელში არაეთიკური პოსტი გამოაქვეყნა ექსკურსიის დროს გარდაცვლილი გოგონას შესახებ. ამ ფაქტს საზოგადოების [მწვავე პროტესტი მოჰყვა](#). იგი უარყოფითად შეაფასა საკრებულოს რამდენიმე წევრმა და [ქუთაისის მერმა](#). ნანა კოსტავამ ამ მოვლენების შემდეგ საკრებულოს ფრაქციის “ქართული ოცნება - კონსერვატორების” თავმჯდომარის თანამდებობა და ფრაქციაც დატოვა. ასევე, გავიდა გენდერული თანასწორობის საბჭოდან.

2018 წლის 19 სექტემბერს ქუთაისის საკრებულოს წევრები „ქართული ოცნებიდან“ ამირან კოპალეიშვილი და იმედა სალინაძე ასევე საკრებულოს წევრს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელ გიორგი უკლებას [დაესხნენ თავს](#). თავდასხმა, მედიასაშუალებების ინფორმაციით, იმის გამო მოხდა, რომ გიორგი უკლებამ საკუთარ ფეისბუქ გვერდზე „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილ საპრეზიდენტო კანდიდატს, სალომე ზურაბიშვილს შეურაცხყოფა მიაყენა, რასაც მოყვა სიტყვიერი დაპირისპირება და ხელჩართული ჩხუბი საკრებულოს სხდომათა დარბაზში, შემდეგ კი დერეფანში. ამ ფაქტთან დაკავშირებით ქუთაისის საკრებულოს არ უმსჯელია და ეთიკის ნორმების დარღვევა არ დაუდგენია.



### **სახელმწიფოსთვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემა:**

საანგარიშო პერიოდში ქუთაისის საკრებულომ მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ 6 განკარგულება მიიღო:

1. 2018 წლის 27 ივნისის N86 განკარგულებით, სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცა ქუთაისში, ხარებავას N52-ში მდებარე 3070 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, შემდგომში სსიპ “გენერალ გიორგი კვინიკაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმისთვის” სარგებლობაში გადაცემის მიზნით.
2. 2018 წლის 27 ივნისის N87 განკარგულებით, სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცა ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N19-ში მდებარე 3800 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, შემდგომში შსს-სთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.
3. 2018 წლის 19 სექტემბრის N104 განკარგულებით, სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცა უძრავი ქონება ქ.ქუთაისში დავით აღმაშენებლისა და თბილისის ქუჩის გადაკვეთაზე;
4. 2019 წლის 30 იანვრის N138 განკარგულებით, სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცა ქუთაისში, ა.წერეთლის ქუჩაზე, სააქციო საზოგადოება “ლითოფონის ქარხნის საზღვრებში ნაკვეთები N1; N2; N3, ა.წერეთლის ქუჩაზე N 192-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 4374 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, შემდგომში გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.
5. 2019 წლის 25 სექტემბრის N225 განკარგულებით, სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცა ქუთაისში, შარვაშიძის ქუჩაზე N55-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2925 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემის მიზნით;
6. 2019 წლის 27 ნოემბრის N242 განკარგულებით, სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცა ქუთაისში, ბაგრატიის ქუჩაზე N16-ის მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

### **მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტები**

ქუთაისის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებები საანგარიშო პერიოდში **სულ 20-ჯერ** შეიტანეს. კერძოდ:

- 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილება განხორციელდა 1-ჯერ.
- 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილება განხორციელდა 8-ჯერ.
- 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილება განხორციელდა 11-ჯერ.

საანგარიშო პერიოდში ქუთაისის მერიამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ან/და სხვა პროგრამები, სტრატეგიები და გეგმები წარუდგინა 9-ჯერ, სივრცითი ტერიტორიული დოკუმენტები - 14-ჯერ.

## **თავი 4. საჩინაულოს კომისიების და ფინანსების საქმიანოება**

### **საკრებულოს კომისიების საქმიანობა:**

ქუთაისის საკრებულოში ხუთმა მუდმივმოქმედმა კომისიამ საანგარიშო პერიოდში სულ 163 სხდომა გამართა. კვორუმის არარსებობის გამო მხოლოდ ერთხელ, 2019 წლის 22 ნოემბერს ჩაიშალა ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომა.

საკრებულოს კომისიებმა საკრებულოს ჯამში სამართლებრივი აქტების 40 პროექტი წარუდგინეს, ასევე მოამზადეს 487 დასკვნა საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

<b>საკრებულოს კომისიათა სხდომების რაოდენობა</b>					
<b>წელიწადი</b>	<b>იურიდიულ საკითხთა კომისია</b>	<b>საფინანსო-საბიუჯეტო კომისია</b>	<b>ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მუერნეობის კომისია</b>	<b>კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია</b>	<b>ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია</b>
2017 წელი (ნოემბერი-დეკემბერი)	2	0	2	2	1
2018 წელი	21	14	17	10	14
2019 წელი	26	16	16	6	16
<b>ჯამი:</b>	<b>49 სხდომა</b>	<b>30 სხდომა</b>	<b>35 სხდომა</b>	<b>18 სხდომა</b>	<b>31 სხდომა</b>

<b>კომისიათა მიერ საკრებულოსთვის წარდგენილი სამართლებრივი აქტის პროექტების რაოდენობა</b>				
<b>იურიდიულ საკითხთა კომისია</b>	<b>საფინანსო-საბიუჯეტო კომისია</b>	<b>ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მუერნეობის კომისია</b>	<b>კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია</b>	<b>ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია</b>
21	3	3	10	3

საანგარიშო მონაკვეთში მხოლოდ ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ მოიწვია ორი სპეციალისტი 1 წლის ვადით (ანაზღაურების გარეშე), თუმცა, რასთან დაკავშირებით მოიწვია ისინი, ამ კითხვაზე საკრებულომ არ გვიპასუხა.

**საკრებულოს ფრაქციების საქმიანობა:**

ქუთაისის 2017 წლის მონვევის საკრებულოში სულ ხუთი ფრაქცია მუშაობს, მათ რეგისტრაციის დღიდან 2019 წლის ჩათვლით 24 საკითხის ინიცირება შეძლეს.

ფრაქცია “ქართულმა ოცნებამ” შემდეგი საკითხებით მიმართა საკრებულოს:

- მარტოხელა ოჯახების ხელშეწყობისათვის, მარტოხელა ოჯახების დახმარების პროგრამის ხარჯების გაზრდის შესახებ;

- 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში, მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობისათვის 18 წლამდე ასაკის შვილების, წელიწადში ერთხელ უფასო გამოკვლევების ჩატარების შესახებ.

ფრაქცია “ქართული ოცნება-მწვანეების” მიერ ინიცირებული იქნა ორი საკითხი:

- ახალი სკვერების მოწყობისა და არსებული სკვერების რეკონსტრუქცია - რესტავრაციისათვის გათვალისწინებული თანხების გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში;
- ქალაქ ქუთაისში, სპორტული ტრენაჟორებისა და სპორტული მოედნების ზრდა - ახალგაზრდა თაობისათვის ჯანმრთელი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით.

ფრაქცია “ქართულმა ოცნება-მრეწველებმა” საანგარიშო პერიოდში შეიტანა 5 საკითხი, თუმცა საკითხების ჩამონათვალი საკრებულოს არ მოუწოდებია.

ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” მიერ საანგარიშო პერიოდში ინიცირებული იქნა 11 საკითხი:

- ყველა პენსიონერისათვის დამატებით 50-ლარიანი ვაუჩერის გადაცემა მედიკამენტების შესაძენად;
- ერთჯერადი 100-ლარიანი კომუნალური ვაუჩერის გადაცემა საშუალო და დაბალშემოსავლიანი აბონენტებისათვის;
- წარმატებული სტუდენტების ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა. პირველ წელს საპილოტედ 100 000 ლარის გამოყოფით;
- სტუდენტური ტარიფის შემოღება ადგილობრივი ტრასპორტით მგზავრობაზე (ტარიფის განახევრება);
- 400-ლარიანი ვაუჩერის გადაცემა ყველა ახალშობილისათვის;
- ყველა სკოლისათვის 50 000 ლარის გამოყოფა, რომელსაც სკოლები გამოიყენებენ საკუთარი შეხედულებისამებრ, პედაგოგიური და მშობელთა საბჭოების გადანიშნულებების მიხედვით (სულ 38 სკოლა);
- მრავალსართულიანი ბინების ამხანაგობების პარალელურად, კერძო დასახლებებში შესახვევების, ჩიხების ამხანაგობების შექმნა, რომლებსაც ექნებათ საშუალება დასაფინანსებლად წარმოადგინონ ქ. ქუთაისის მერიაში პროექტები, მათი ქუჩების, შესახვევებისა და ჩიხების პრობლემების გადასაჭრელად, საპილოტედ 500 000 ლარის გამოყოფა;
- პარკირების გადასახადის განახევრება და პარკირების პრობლემების მოგვარება;
- სოციალური საცხოვრისის საკითხის შესწავლა და რეაგირება;
- ხეების უკანონო ჭრაზე რეაგირება და გამწვანების კამპანიის დაწყება;
- ბიუჯეტის პროექტებში ცვლილებების ინიციატივა საკრებულოს სხდომებზე და კომისიებზე დასმული ინიციატივები: წყლის რეაბილიტაციის უხარისხო სამუშაოების შემსწავლელი ჯგუფის შექმნა და რეაგირება; მუნიციპალური ტრასპორტის პრობლემაზე მუშაობის დაწყება და 2019 წლის ტენდერებისათვის ხედვის ჩამოყალიბება; ბიუროკრატიული ხარჯების შემცირება; ჯიხურების დადგმის აკრძალვა; საქველმოქმედო ფონდ “ქუთაისში” წინასაარჩევნო პერიოდში თანამშრომელთა იძულების აღკვეთა თანხის გადარიცხვაზე; სკვერებში უკანონო მშენებლობის აღკვეთა; საკრებულოს ზედამხედველობის ფუნქციის გაძლიერების ღონისძიებების გატარება; მადლიერების სახლში უკანონო რეორგანიზაციაზე რეაგირება, მერიის საშტატო ნუსხისა და სამსახურების დებულებებში შენიშვნების წარდგენა.

ფრაქცია “ქართულმა ოცნება - კონსერვატორებმა” წარმოადგინეს შემდეგი საკითხები:

- მოქალაქეთა მოთხოვნის - “დააბრუნებთ რელიგიას სკოლაში” საკითხის განხილვა
- “დედა ენის” დღის ზეიმთან დაკავშირებით ბანერისათვის 2020 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებელი თანხის გამოყოფა;
- აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორების კოლექტიური თხოვნის კონფერენციის თანადაფინანსების თაობაზე: “შრომის ბაზარი: უმუშევრობა და დასაქმებულთა სიღარიბე”;
- 9 აპრილის მემორიალის ყვავილებით შემკობა და მონესრიგება.

ჩამოთვლილი 24 საკითხიდან საკრებულომ განიხილა და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება 13 საკითხზე. ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ინიციატივით, მათ მიერ დაყენებული 11 საკითხის საკრებულოს არც განუხილავს.

ფრაქცია	ინიცირებული საკითხების რაოდენობა
“ქართული ოცნება”	2
“ქართული ოცნება-კონსერვატორები”	4
“ქართული ოცნება-მრეწველები”	5
“ქართული ოცნება-მწვანეები”	2
“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”	11
<b>სულ ინიცირებული საკითხები</b>	<b>24</b>

## თავი 5. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონსტროლი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება.<sup>1</sup> მერი კი ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე.<sup>2</sup>

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და ქუთაისის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად კონტროლის განხორციელების მექანიზმებია:

- მერისთვის უნდობლობის გამოცხადება;
- საკრებულოს წევრის მიერ კითხვის დასმა და ინტერპელაცია;

1 მუხლი 24-ე, პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“

2 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 48-ე მუხლის მეორე პუნქტი

- სხდომაზე მინწვევა;
- ანგარიშების მოსმენა;
- დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარება;
- მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე კონტროლი;
- ბიუჯეტის შესრულების კონტროლი.

ქუთაისის 2017 წლის მონვევის საკრებულოსთვის საანგარიშო პერიოდში ქუთაისის მერს ანგარიში არ წარუდგენია.

საკრებულოს წარედგინა მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალური იურიდიული პირების [14 ანგარიში](#), რომელთაგან არცერთი არ შეფასებულა უარყოფითად. ასევე, მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, საკრებულო, საკრებულოს ბიურო, საკრებულოს კომისიები და ფრაქციები სისტემატურად ინვესტდნენ აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლებს ცალკეული საკითხების განხილვის მიზნით.

აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილ და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანილ ყველა საკითხს საკრებულომ მხარი დაუჭირა.

საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოებს, მერს და სხვა თანამდებობის პირებს, კითხვით საკრებულოს მხოლოდ [9 წევრმა მიმართა](#). აქედან ყველაზე მეტი კითხვის ადრესატი ქალაქის მერი იყო.

ქუთაისის 2017 წლის მონვევის საკრებულოს ასევე არ გამოუვლენია მერის საქმიანობაში გადაცდომები, ინტერესთა კონფლიქტი ან/და თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტები. ასევე, საკრებულოს ინფორმაციით “საანგარიშო პერიოდში საკრებულოს წევრის თანამდებობრივი შეუთავსებლობის/ინტერესთა კონფლიქტის შესახებ გადაცდომებს ადგილი არ ჰქონია”.

ქუთაისის საკრებულოს მუნიციპალიტეტის ორგანოების შემოწმების მიზნით დამოუკიდებელი აუდიტორი არ მოუწვევია.

ქალაქის მერმა საკრებულოს წარუდგინა 2017 წლის, 2018 წლის 6 თვის, 2018 წლის 9 თვის, 2018 წლის, 2019 წლის 6 თვისა და 2019 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები.

## თავი 6. ანასრულად შევსებული რეკლამაციები და შეუთავსებადი საქმიანობა

ქუთაისის საკრებულოში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს თანამდებობის პირთა მიერ ქონებრივი დეკლარაციის არასრულად, ხარვეზებით შევსების საკითხი. 16 თანამდებობის პირიდან (საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე, ფრაქციის თავმჯდომარე და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე) დეკლარაცია 3 თანამდებობის პირმა არასრულად შეავსო.

### კანონმდებლობის მოთხოვნა:

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ [კანონის](#)“ თანახმად, პირი თანამდებობაზე დანიშნვიდან ორი თვის ვადაში ვალდებულია სრულყოფილად შეავსოს დეკლარაცია<sup>3</sup>, ასახოს ინფორმაცია საკუთარი და ოჯახის წევრთა ქონებისა და

3 მუხლი მე-14, პუნქტი 1



ეკონომიკური ინტერესების შესახებ<sup>4</sup>, სამეწარმეო ორგანიზაციებში არსებული საკუთარი წილები მართვის უფლებით გადასცეს სხვა პირს<sup>5</sup> და თანამდებობაზე დანიშნვიდან 10 დღის ვადაში დატოვოს სამეწარმეო ორგანიზაციის დირექტორის, ხელმძღვანელის პოზიცია<sup>6</sup>.

**ხარვეზები ქუთაისის საკრებულოს თანამდებობის პირთა დეკლარაციებში:**



**ნიკოლოზ ლაშაიია**

*ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე*

ნიკოლოზ ლაშაიია 2019 წლის სექტემბერში შევსებულ [დეკლარაციაში](#) მიუთითებს, რომ იგი არის შპს “[ნიკოლი თერჯოლა](#)”-ს 50%; შპს “[გიო](#)”-ს 40%; შპს “[ნიკოლი 9](#)”-ს 100%, შპს “[ფრემ ფუდი](#)”-ს 55% წილის მფლობელი, დეკლარაციაში მითითებულია წილის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ, თუმცა, კანონის მოთხოვნის მიუხედავად, აღნიშნული წილების მართვის უფლებით სხვა პირისათვის გადაცემის შესახებ ინფორმაცია სამეწარმეო რეესტრში მითითებული არ არის.



**ლაშა გვენეტაძე**

*ფრაქცია “ქართული ოცნება-მრეწველების” თავმჯდომარე*

ლაშა გვენეტაძე 2019 წლის აპრილში შევსებულ [დეკლარაციაში](#) მიუთითებს, რომ იგი არის შპს “[ვიპ კახიანაური](#)”-ს 20% წილის მფლობელი, თუმცა კანონის მოთხოვნის მიუხედავად, აღნიშნული წილების მართვის უფლებით სხვა პირისათვის გადაცემის შესახებ ინფორმაცია სამეწარმეო რეესტრში მითითებული არ არის, დეკლარაციაში კი, მითითებულია წილის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ. ასევე ლაშა გვენეტაძის მეუღლე ხატია კიკვაძე 2019 წლის იანვრიდან ფლობს 50% წილს შპს “[იურიდიული დახმარების გუნდში](#)”, რაც არ არის ასახული ლაშა გვენეტაძის 2019 წელს შევსებულ დეკლარაციაში.

---

4 მუხლი მე-15  
5 მუხლი მე-16, პუნქტი მე-6  
6 მე-14 მუხლი, პუნქტი მე-10





## კახაბერ ბოჭორიძე

ქუთაისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

კახაბერ ბოჭორიძე 2019 წლის იანვარში შევსებულ [დეკლარაციაში](#) მითითებული აქვს, რომ იგი არის შპს “[არგომშენის](#)” 50%; შპს “[ნიუ ტრასპორტ 2015](#)”-ს 67%; შპს “[კონსოლი XXI საუკუნეს](#)” 50% წილის მფლობელი, თუმცა კანონის მოთხოვნის მიუხედავად, აღნიშნული წილების მართვის უფლებით სხვა პირისათვის გადაცემის შესახებ ინფორმაცია სამეწარმეო რეესტრში მითითებული არ არის, დეკლარაციაში კი, აღნიშნულია წილის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ.

## თავი 7. საჩივროს წევრთა ჩართულობა საჩივროს საქმიანობაში

ქუთაისის საკრებულოს რეგლამენტით არ არის დაზუსტებული, საკრებულოს სხდომის გაცდენის რა შემთხვევა ითვლება არასაპატიოდ. საკრებულოს რეგლამენტი ეყრდნობა “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” ჩანაწერს, რომლის [თანახმდაც](#) საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდება უფლებამოსილება, თუ იგი “არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში”.

ქუთაისის საკრებულოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საკრებულოს წევრი ზეპირად ატყობინებს თავმჯდომარეს გამოუცხადებლობის მიზეზს, რაც ოქმში არ აისახება.

2019 წლის 27 ივნისიდან საკრებულომ უფლებამოსილება შეუწყვიტა საკრებულოს წევრს, გიორგი უკლებას (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა). მოწოდებული ინფორმაციით, გიორგი უკლება 6 თვის მანძილზე არ ესწრებოდა საკრებულოს, კომისიებისა და ფრაქციების სხდომებს, არ ერთვებოდა საკრებულოს საქმიანობაში და მოკვლევის მიმდინარეობისას არ წარმოუდგენია საპატიო მიზეზით გაცდენის დამადასტურებელი მტკიცებულება.

### **მონაწილეობა საკრებულოს სხდომებში:**

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს წევრებმა ჯამურად საკრებულოს სხდომები გააცდინეს 192-ჯერ.

საკრებულოს წევრთა შორის ყველაზე მეტი სხდომა ვლადიმერ კლდიაშვილს (21 სხდომა, “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”) აქვს გაცდენილი. გაცდენების რაოდენობით ლიდერებს შორის არიან გიორგი უკლება (20 სხდომა, “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”), რომელსაც უფლებამოსილება შეუწყდა, და დავით გოგისვანიძე (19 სხდომა, “ევროპული საქართველო”).

<b>ქუთაისის საკრებულოს წევრთა მიერ საკრებულოს სხდომების გაცდენის სტატისტიკა</b>		
<b>საკრებულოს წევრი</b>	<b>ესწრებოდა</b>	<b>არ ესწრებოდა</b>
<b>ნიკოლოზ ლატარია</b>	27	10
<b>მაია სიმონიძე</b>	31	6
<b>რამაზ ჩხიკვაძე</b>	33	4
<b>ალექსანდრე ახალაძე</b>	35	2
<b>ოთარ ლორთქიფანიძე</b>	31	6
<b>ლაშა გვენეტაძე</b>	33	4
<b>ნანა კოსტავა</b>	30	7
<b>დათო წულუისკირი</b>	34	3
<b>ვლასი გარდაფხაძე</b>	36	1
<b>დავით გოგისვანიძე</b>	18	19
<b>მერაბ მეშველიანი</b>	23	12
<b>ბესიკ ბრეგაძე</b>	20	17
<b>გიორგი უკლება</b>	9	20
<b>ჩანაცვლდა - რომან ქვაჩაკიძე</b>	1	7
<b>ვლადიმერ კლდიაშვილი</b>	16	21
<b>გრიგოლ შუშანიას</b>	25	12
<b>მერაბ კვიციანიძე</b>	31	6
<b>იმედა საღინაძე</b>	37	0
<b>ირაკლი შენგელია</b>	32	5
<b>ამირან კობალეიშვილი</b>	30	7
<b>გიორგი ჭეიშვილი</b>	33	4

მარეხი ნიჟარაძე	33	4
ელენორა არჩაია	35	2
ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი	35	2
კახაბერ ბოჭორიშვილი	31	6
მამუკა რიჟამაძე	32	5

**მონაწილეობა საკრებულოს კომისიების სხდომებში:**

საკრებულოს წევრებმა 473-ჯერ გააცდინეს საკრებულოს კომისიების სხდომები.

საკრებულოს წევრთა შორის კომისიის ყველაზე მეტი (59) სხდომა გიორგი უკლებამ (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) გააცდინა. კომისიის სხდომის გაცდენების რაოდენობით ლიდერებს შორის არიან დავით გოგისვანიძე (53 სხდომა, “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”) და ბესიკ ბრეგაძე (47 სხდომა, “ევროპული საქართველო”).

აღსანიშნავია, რომ გიორგი უკლებას უფლებამოსილება შეუწყდა და მისი ჩანაცვლება მოხდა რომან ქვაჩაყიძით, რომელმაც კომისიის 5 სხდომა გააცდინა.

ქუთაისის საკრებულოს წევრთა მიერ კომისიის სხდომების გაცდენის სტატისტიკა	
საკრებულოს წევრი	სულ გაცდენები
მაია სიმონიძე	27
რამაზ ჩხიკვაძე	7
ალექსანდრე ახალაძე	17
ოთარ ლორთქიფანიძე	20
ლაშა გვენეტაძე	14
ნანა კოსტავა	21
დათო წულუისკირი	17
ვლასი გარდაფხაძე	2
დავით გოგისვანიძე	53
მერაბ მეშველიანი	23

ბესიკ ბრეგაძე	47
გიორგი უკლება	59
ჩანაცვლდა - რომან ქვანაკიძე	5
ვლადიმერ კლდიაშვილი	42
გრიგოლ შუშანია	11
მერაბ კვიციანიძე	38
იმედა სალინაძე	4
ირაკლი შენგელია	5
ამირან კობალეიშვილი	15
გიორგი ჭეიშვილი	6
მარეხი ნიჟარაძე	15
ელეონორა არჩაია	10
ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი	5
კახაბერ ბოჭორიშვილი	7
მამუკა რიჟამაძე	3
<b>ჯამი</b>	<b>473</b>

## თავი 8. მოქალაქეთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში

ქუთაისის საკრებულოს მიერ მონოდედებული ინფორმაციის თანახმად, საკრებულო უზრუნველყოფს მოქალაქეთა ჩართულობას მის საქმიანობაში:

- მათ შორის უზრუნველყოფილია მოქალაქეთა დასწრება და მონაწილეობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების სხდომებში;
- პერიოდულად ეწყობა შეხვედრები მოსახლეობასთან, მათი საჭიროებებისა და მოთხოვნების უკეთ გაცნობისა და გადაწყვეტისათვის;
- განახლდა მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი და პეტიციის რეგისტრაცია ელექტრონულად არის შესაძლებელი.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომების მონვევის შესახებ ბრძანებას გამოსცემს

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, რომელიც ქვეყნდება:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ-გვერდზე;
- ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე;
- ცხადდება ტელეკომპანია “რიონის” საშუალებით.

საკრებულოს სხდომების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდებოდა კანონით გათვალისწინებულ ვადებში.

## თავი 9. გენდერული თანასწორობის საჭმოს საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში ქუთაისის საკრებულოში მოქმედი გენდერული თანასწორობის საბჭომ განიხილა 2019 წლის ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი და შეიმუშავა საბიუჯეტო რეკომენდაციები:

- ააიპ “მადლიერების სახლის” ბაზაზე და ბენეფიციარებისათვის საშრობის ფუნქციის მქონე სარეცხი მანქანის განთავსება;
- ვასილ კიკვიძის ძეგლის დემონტაჟი;
- მორიგე ბაგა-ბაღის დამატება / ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- შეიმუშავა რეკომენდაციები ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის შიდა რეგულაციებში სექსუალური შევიწროვების შესახებ ნორმების განერის თაობაზე.

ასევე, საკრებულოს გენდერულმა საბჭომ საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსათვის წარსადგენად შეიმუშავა საკანონმდებლო წინადადებები მარტოხელა მშობლის სტატუსის განსაზღვრებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსში მარტოხელა მშობლისთვის საშემოსავლო შეღავათების გათვალისწინების საკითხზე შესატანი ცვლილებების/დამატებების შესახებ. ცვლილებების ინიცირება განხორციელდა ორ საკანონმდებლო აქტში:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი.

ქუთაისის გენდერული თანასწორობის საბჭოში განცხადება ან სხვა რაიმე მიმართვა არ შესულა.

გენდერული თანასწორობის საბჭომ განეული საქმიანობის შესახებ ანგარიში საკრებულოს 2019 წლის 29 მაისს წარუდგინა.

## თავი 10. ქაღაქ ქუთაისის საკრებულოს ხარჯები

### სახელფასო ანაზღაურება და პრემია:

ქუთაისის 2017 წლის მონვევის საკრებულოში საკრებულოს წევრებზე, საკრებულოს აპარატისა და შტატგარეშე თანამშრომლებზე ჯამში (2017 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ჩათვლით) გაცემულმა სახელფასო ანაზღაურებამ **1,853,759** ლარი შეადგინა.

<b>ქუთაისის 2017 წლის მონვევის საკრებულოში გაცემული შრომის ანაზღაურება</b>	
2017 წელი (ნოემბერი - დეკემბერი)	57,415
2018 წელი	907,831
2019 წელი	888,513
<b>ჯამი</b>	<b>1,853,759</b>

ამავე პერიოდში პრემიის, დანამატისა და დახმარების სახით საკრებულოს თანამდებობის პირებმა, აპარატის თანამშრომლებმა და შტატგარეშე მოსამსახურეებმა ჯამში **202,446** ლარი მიიღეს. აქედან დანამატად გაიცა 55 746 ლარი, პრემიად გაიცა 58 200 ლარი, ხოლო დახმარების სახით გაცემულია 88 500 ლარი. აღსანიშნავია, რომ [დახმარებას იღებენ თანამდებობის პირებიც](#). 2018 წელს დახმარების სახით თანამდებობის პირებმა 6 900 ლარი, ხოლო 2019 წელს - 28 000 ლარი აიღეს.

<b>ქუთაისის 2017 წლის მონვევის საკრებულოში გაცემული პრემია/დანამატი/დახმარება</b>	
2017 წელი (ნოემბერი - დეკემბერი)	7,940
2018 წელი	89,136
2019 წელი	105,370
<b>ჯამი</b>	<b>202,446</b>

საკრებულოს თანამდებობის პირებზე გაცემული სახელფასო ანაზღაურების, პრემიის, დანამატისა და დახმარების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ გრაფიკში:

<b>საკრებულოს თანამდებობის პირებზე გაცემული შრომის ანაზღაურება, პრემია, დანამატი, დახმარება</b>					
<b>სახელი გვარი</b>	<b>თანამდებობა</b>	<b>შრომის ანაზღაურება</b>	<b>პრემია</b>	<b>დანამატი</b>	<b>დახმარება</b>
ნიკოლოზ ლატარია	საკრებულოს თავმჯდომარე	58,648	0	0	0
ირაკლი შენგელია	თავმჯდომარის მოადგილე	89,832	0	0	3,500
რამაზ ჩხიკვაძე	თავმჯდომარის მოადგილე	86,997	0	0	3,500



კახაბერ ბოჭორიშვილი	კომისიის თავმჯდომარე	47,948	0	0	3,800
ვლასი გარდაფხაძე	კომისიის თავმჯდომარე	43,962	0	0	1,900
ოთარ ლორთქიფანიძე	კომისიის თავმჯდომარე	48,548	0	0	1,900
მამუკა რიჟამაძე	კომისიის თავმჯდომარე	47,948	0	0	0
გიორგი ჭეიშვილი	კომისიის თავმჯდომარე	47,948	0	0	5,700

საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეების სახელფასო ანაზღაურებისა და პრემიის შესახებ ინფორმაცია იხილეთ გრაფიკში:

<b>ფრაქციის თავმჯდომარეებზე გაცემული შრომის ანაზღაურება, პრემია, დანამატი</b>					
<b>სახელი გვარი</b>	<b>თანამდებობა</b>	<b>შრომის ანაზღაურება</b>	<b>პრემია</b>	<b>დანამატი</b>	<b>დახმარება</b>
მარეხ ნიჟარაძე	„ქართული ოცნება“ - თავმჯდომარე	47,920	0	0	1900
გრიგოლ შუშანია	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“- თავმჯდომარე	47,948	0	0	0
ნანა კოსტავა	„ქართული ოცნება - კონსერვატორები“ - თავმჯდომარე	34,376	0	0	1900
ჩანაცვლდა - ნიკოლოზ ჩეჩელაშვილით	„ქართული ოცნება - მრეწველები“ - თავმჯდომარე	33,040	0	0	1200
ლაშა გვენეტაძე	„ქართული ოცნება - მრეწველები“ - თავმჯდომარე	46,976	0	0	1900
იმედა სალინაძე	„ქართული ოცნება - მწვანეები“ - თავმჯდომარე	45,824	0	0	1900

### სამივლინებო ხარჯები:

ქუთაისის საკრებულოს წევრებმა და აპარატის თანამშრომლებმა ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინებებზე საანგარიშო პერიოდში, ჯამში **48,906** ლარი გახარჯეს.

ქუთაისის 2017 წლის მონვევის საკრებულოში მივლინებებზე განეული ხარჯი	
2017 წელი ნოემბერი - დეკემბერი	210
2018 წელი	18,399
2019 წელი	30,297
<b>ჯამი</b>	<b>48,906</b>

### ავტომობილები და საწვავის ხარჯები:

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბალანსზე სამი ავტომობილი ირიცხება, რომლითაც სარგებლობდნენ საკრებულოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები.

ავტომობილების შეკეთებაზე ჯამში 24,440 ლარი დაიხარჯა (2017 წელს - 129 ლარი, 2018 წელს - 16,197 ლარი და 2019 წელს კი - 8,114 ლარი).

ჯამში ქუთაისის საკრებულომ **115,653** ლიტრი საწვავი გახარჯა.

ქუთაისის საკრებულოს მიერ გახარჯული საწვავი	
წელი	ლიტრი
2017 (ნოემბერი - დეკემბერი)	4,215
2018	51,690
2019	59,748
<b>ჯამი</b>	<b>115,653</b>

# ჩაკონტროლებადი

## კონტროლის განხორციელება:

- საკრებულოს წევრები უფრო აქტიურად უნდა ჩაერთონ საზედამხებველო საქმიანობაში, კერძოდ უფრო ინტენსიურად უნდა გააკონტროლონ სახელმწიფო შესყიდვების პროცესი, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობა;
- საკრებულომ აქტიურად და კეთილსინდისიერად უნდა იმუშაოს მუნიციპალიტეტში ინტერესთა კონფლიქტის, თანამდებობრივი შეუთავსებლობის, საკრებულოს რეგლამენტის და ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტების გამოვლენაზე;

## ანგარიშვალდებულება:

- საკრებულოს, ისევე როგორც კომისიების სხდომებზე საკრებულოს წევრთა დასწრების მდგომარეობა მნიშვნელოვნად უნდა გაუზობესდეს. საკრებულოს ყველა წევრი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს და ესწრებოდეს სხდომებს. ამასთან, საკრებულოს თითოეული წევრის მხრიდან სხდომის გაცდენის საპატიო თუ არასაპატიო მიზეზები უნდა იყოს დადგენილი, გამოკვლეული და სათანადო ღონისძიებებიც გამოყენებული;
- თანამდებობის პირთა მიერ დეკლარაციების შევსება გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს, ამასთან, დეკლარაციების არასრულად შევსება კორუფციის საფრთხესაც შეიცავს. ამიტომაც აუცილებელია, რომ თანამდებობის პირებმა დეკლარაცია სრულად შეავსონ;

## ფრაქციების საქმიანობა:

- მნიშვნელოვანია, რომ ფრაქციის საქმიანობა სარგებლის მომტანი იყოს შესაბამისი თვითმმართველობისათვის, ფრაქცია აქტიურად უნდა ჩაერთოს საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების განხილვისა თუ გადაწყვეტის პროცესში, შეისწავლოს/გააკონტროლოს მერიისა თუ მუნიციპალური იურიდიული პირების საქმიანობა; წარსდგეს საკრებულოში ინიციატივებით, აქტიურად ჩაერთოს ბიუჯეტირების პროცესში და ა.შ. ფრაქციები მნიშვნელოვნად ზრდის თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობას, მხარს უჭერს ადგილობრივ ინიციატივებს, აგრეთვე მოქალაქეთა საჭიროებებისა და პრობლემების ადვოკატირებას. შესაბამისად, მოვუწოდებთ ფრაქციებს, აღნიშნული ინსტრუმენტები აქტიურად გამოიყენონ;

## საკრებულოს ხარჯები:

- მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს მიერ გაწეული ხარჯები სრულ თანხვედრაში იყოს კანონმდებლობით მისთვის განკუთვნილი უფლებამოსილებების განხორციელებასთან;
- საკრებულომ მკაცრად უნდა აკონტროლოს როგორც უშუალოდ წარმომადგენლობითი ორგანოს, ასევე ზოგადად მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ხარჯები და ორიენტირებული იყოს ფინანსების ეფექტურ ხარჯვაზე;

## **პეტიცია:**

- კანონმდებლობა თვითმმართველობებს აძლევს შესაძლებლობას პეტიციის საჭირო ხელმომწერთა რაოდენობა [შეამცირონ](#) მათთვის სასურველ ნებისმიერ ოდენობამდე. თვითმმართველობის კოდექსი აწესებს მხოლოდ ზედა ზღვარს - 1%, რაც ცალკეულ მუნიციპალიტეტებში მოქალაქეების დიდი ოდენობის გათვალისწინებით, შესაძლოა, რთულად შესასრულებელი მოთხოვნა იყოს; იმის გათვალისწინებით, რომ საანგარიში პერიოდის განვალბაში საკრებულოში არცერთი პეტიცია არ დარეგისტრირებულა, მიგვაჩნია, რომ ქუთაისის საკრებულომაც უნდა შეამციროს პეტიციაზე ხელმომწერთა რაოდენობის ქვედა ზღვარი და 1% ნაცვლად დააწესოს 0.3 ან 0.5 რაც გაუადვილებს დაინტერესებულ პირებს პეტიციის მომზადების პროცედურას;

## **დასახლების საერთო კრება:**

- ქუთაისში დასახლების საერთო კრება ჯერ არ ჩატარებულა. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს ინიციატივით ამოქმედდეს ჩართულობის ეს მექანიზმი, მიმართოს მერს მისი ჩატარების შუამდგომლობით. მუნიციპალიტეტისათვის აუცილებელია დასახლების საერთო კრების ჩატარება, ყოველი მომდევნო წლის ბიუჯეტის უკეთ დასაგეგმად